2-7385/26
05-06-2026

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო
კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ პაატა კვიჟინაძეს

ასლი: საქართველოს პარლამენტის აპარატის
იურიდიული დეპარტამენტის უფროსს

ბატონ ალექსანდრე ტაბატაძეს

დასკვნა

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშსა“ (№1-5150/26; 29.05.2026) და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ მოხსენებაზე „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (№1-4740/26, 20.05.2026)

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2026 წლის 5 ივნისის სხდომაზე განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მოხსენება „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“.

კომიტეტმა წარმოდგენილი ანგარიშის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე იმ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც პირდაპირი შეხება აქვთ ადამიანის უფლებების დაცვასა ან/და სამოქალაქო ინტეგრაციასთან, ასევე, სოციალური და ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების გეგმის შესრულებაზე.

სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 7 172 128.3 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 7 163 118.5 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის 99.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური

აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 27.6%, მათ შორის: ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 36 928.9 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (36 928.9 ათასი ლარი) 100.0%; ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 4 555 999.3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (4 555 999.3 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1 649 646.2 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (1 649 607.0 ათასი ლარი) 100.0%; საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 48 605.4 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (48 606.3 ათასი ლარი) 100.0%; სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 259 493.0 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (259 430.8 ათასი ლარი) 100.0%; სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 612 445.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (621 556.0 ათასი ლარი) 98.5%-ს შეადგენს.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 2 220 839.1 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 242 454.5 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებელის 101.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 8.7%, მათ შორის: სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობებისა და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 3 413.5 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (3 414.3 ათასი ლარი) 100.0%; ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 1 592 333.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1 593 562.0 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს; საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 407 210.4 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის (391 531.5 ათასი ლარი) 104.0%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 142 090.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (142 147.0 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს; ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 97 406.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (90 184.2 ათასი ლარი) 108.0%- ს შეადგენს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის 2025 წლის 12 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 5 775.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 4 918.1 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 532.6 ათასი ლარით მეტია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის 2025 წლის 12 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 10 300.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 9 340.2 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 260.2 ათასი ლარით ნაკლებია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 12 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 6 800.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინასებამ - 6 064.2 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 693.4 ათასი ლარით მეტია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო

საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის 2025 წლის 12 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 20 800.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინასებამ 19 884.7 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2 783.4 ათასი ლარით მეტია.

საერთო სასამართლოები

საერთო სასამართლოებისათვის 2025 წლის 12 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 139 500.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინასებამ - 131 744.1 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 23 449.1 ათასი ლარით მეტია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 12 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 12 600.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინასებამ - 6 845.4 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 518.0 ათასი ლარით მეტია.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის 2025 წლის 12 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 120 118.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 114 951.9 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 68 346.7 ათასი ლარით ნაკლებია.

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურისათვის 2025 წლის 12 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 14 800.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 14 842.3 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2 264.7 ათასი ლარით მეტია.

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთვის 2025 წლის 12 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 6 500.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 5 698.2 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 989.8 ათასი ლარით მეტია.

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსათვის 2025 წლის 12 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 7 600.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 7 559.0 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის 99.4 ათასი ლარით მეტია.

ამასთან, კომიტეტისთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს:

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვისათვის (პროგრამული კოდი 27 02 03) ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები შეადგენდა 99,384,800 ლარს, რომელიც ფაქტობრივად შესრულდა 100%-ით.

ინკლუზიური განათლებისთვის (პროგრამული კოდი 32 06) ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები შეადგენდა 89,066,000 ლარს, რომელიც ფაქტობრივად შესრულდა 99,7%-ით.

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენების განხილვისას კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ მონაცემებზე:

2025 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 7.5% შეადგინა და 0.3 პროცენტული პუნქტით გადააჭარბა საპროგნოზო მაჩვენებელს (7.2%). ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობა 104.6 მლრდ ლარს გაუტოლდა და 12.4%-ით გაიზარდა 2024 წელთან შედარებით; საშუალო წლიურმა ინფლაციამ 3.9% შეადგინა; მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ს 2.6%-ს გაუტოლდა და 1.3 პროცენტული პუნქტით ჩამორჩა საპროგნოზო მაჩვენებელს (3.9%); 2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული შემოსულობების მოცულობამ 27.8 მლრდ ლარი შეადგინა და 0.8%-ით გადააჭარბა

საპროგნოზო მაჩვენებელს. გადასახდელების ფაქტობრივი ოდენობა კი 27.7 მლრდ ლარს გაუტოლდა და გეგმას 0.8%-ით ჩამორჩა.

2025 წელს ბიუჯეტის დეფიციტისა და ვალის წესის მაჩვენებლები, გასული წლის მსგავსად, კანონმდებლობით დაწესებული ლიმიტების ფარგლებშია მოქცეული. კერძოდ, ვალის წესის მაჩვენებელი 34.4%-ს გაუტოლდა (ლიმიტი - 60%), ხოლო ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა 0.3% (333 მლნ ლარი) შეადგინა (ლიმიტი - 3%), რაც გეგმაზე 2.2 მლრდ ლარით ნაკლებია. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია არაფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებლის გეგმიდან 1.2 მლრდ ლარით ჩამორჩენით, კერძოდ, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოებისთვის გადარიცხული თანხების არსებითი ნაწილის აუთვისებლობით ფისკალური წლის დასრულებამდე (ნაშთის ზრდა).

გასული წლების მსგავსად, 2025 წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, მხოლოდ დეკემბერში დახარჯული თანხის ოდენობამ 4.5 მლრდ ლარი და მთლიანი გადასახდელების 16.3% შეადგინა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილი 8 სამინისტროს ფარგლებში 2025 წელს განხორციელდა 1.7 მლრდ ლარის მოცულობის ხარჯთაღრიცხვის ცვლილება. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული 159 პროგრამიდან ბიუჯეტის დაზუსტება განხორციელდა 117-ში (პროგრამების საერთო რაოდენობის 73.6%-ში), რაც განსაკუთრებით საყურადღებოა 2025 წლის დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების ფონზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების აგრეგირებულ დონეზე შესრულების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, 17 პროგრამისა (პროგრამების საერთო რაოდენობის 10.7%) და 88 ქვეპროგრამის (ქვეპროგრამების საერთო რაოდენობის 21.9%) შემთხვევაში ათვისებული იქნა ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული გეგმის 80%-ზე ნაკლები. ჯამურად, პროგრამების ფარგლებში 2025 წელს აუთვისებელმა თანხამ 567 მლნ ლარი შეადგინა.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული 94 ინფრასტრუქტურული პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი ხასიათდება გეგმიდან გადახრით. მათ შორის, 32 პროექტის შემთხვევაში ათვისებულია საბოლოო გეგმით გამოყოფილი დაფინანსების 80%-ზე ნაკლები, ხოლო 12 პროექტის ბიუჯეტის ათვისებამ 20%-ზე მეტით გადააჭარბა გეგმურ მაჩვენებელს. მხოლოდ 41 პროექტის შემთხვევაშია ათვისების მაჩვენებელი 80%-120%-იან დიაპაზონში.

კომიტეტმა ცნობად მიიღო „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“, აგრეთვე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ და დადებითად შეაფასა საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
რატი იონათამიშვილი